

# ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	4304
ბიზნეს სექტორი:	ენერგეტიკა
შეტყობინების ტიპი:	საჯარო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	B
საბჭოზე გატანის თარიღი:	
სტატუსი:	მიმდინარეობს კონცეფციის განხილვის ეტაპი
პროექტის აღწერის გამოქვეყნების თარიღი:	2 ოქტომბერი 1998

## პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია, რათა დაბალ ფასად მოხდეს საქართველოში არსებული კრიტიკული ენერგოდეფიციტის შემსუბუქება, გაიზარდოს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვითი სარგებელი და მოხდეს ვარდნილი 2,3,4 ჰესების კასკადის რეაბილიტაცია (თითოეული სადგურის სიმძლავრე 40 მეგავატს აღწევს, მთლიანი რეაბილიტირებული სიმძლავრე 120 მეგავატი). სადგურები შეიქმნა ენგურის ჰიდროელექტროსადგურიდან ენგურიდან შავ ზღვამდე მონაკვეთში გამოყოფილი წყლის პოტენციალის გამოყენების მიზნით. სამივე სადგური, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისში აშენდა, დაზიანებულია და ამჟამად არ ოპერირებს.

პროექტის ზოგადი მიზანია საქართველოში განახლებადი ენერჯის სიმძლავრისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

## პროექტის მიზნები

სესხის გაგრძელების შეთავაზება, რომელიც განხილვება 2019 წლის მეოთხედში, მიზნად ისახავს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გაუმჯობესებას, ვარდნილი 2, 3, 4 სადგურების რეაბილიტაციის პროგრამის მეშვეობით.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის განხორციელება თანხვედრაშია ბანკის ეკონომიკური გარდაქმნის მწვანე მიდგომასთან და ექნება მწვანე გარდაქმნის ეფექტი იმ ფონზე, რომ მოიტანს მნიშვნელოვან სარგებელს ნულოვანი ნახშირბადის სადგურის რეაბილიტაციისა და განახლების კუთხით.

## **ინფორმაცია კლიენტის შესახებ**

### **საქართველოს მთავრობა**

მსესხებელი საქართველოს მთავრობაა, რომელიც, თავის მხრივ, სესხს გასცემს შპს ენგურჰესზე, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სპეციალური დანიშნულების კომპანიაზე, რომელიც ფლობს და ამუშავებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურს.

## **EBRD-ის დაფინანსება**

114,489,000,00 აშშ დოლარი.

სესხები გაიცა 1998 (38.7 მილიონი ამერიკული დოლარი), 2006 (10.0 მილიონი ამერიკული დოლარი), 2010 (20,0 მილიონი ევრო), და 2018 (28,0 მილიონი ევრო) წლებში სადგურის რეაბილიტაციისთვის, ევროპის კავშირის, იაპონიის მთავრობის, KfW-ს, EIB-სა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით.

პროექტის შემდეგი ეტაპი დაფინანსდება 40 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გაგრძელებით, ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპული კომისიისა და საქართველოს მთავრობის მხრიდან შესაძლო თანადაფინანსებით პროექტის დანარჩენი ხარჯების დასაფარად.

## **პროექტის ღირებულება**

223,828,892.00 ამერიკული დოლარი

სესხის გაგრძელების პროექტის ღირებულება შეფასებულია 80 მილიონ ევროდ, საიდანაც დამატებით 40 მილიონი ევროს დაფინანსება ევროპის საინვესტიციო ბანკისაგანაა მოსალოდნელი.

## **გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები**

პროექტის თავდაპირველი ეტაპები კლასიფიცირებული იყო როგორც B/1 კატეგორია, ხოლო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის მეხუთე ფაზას მიენიჭა B კატეგორია (2014). ივარაუდება, რომ ენგურჰესის სქემის კომპონენტების რეაბილიტაციას (ვარდნილი 2, 3 და 4) ექნება ისეთი გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენები, რომლებზეც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება.

ხსენებულ პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ტექნიკური კვლევა ჩატარდება როგორც ბანკის შიგნით, ასევე გარე კონსულტანტების დახმარებით.

ივარაუდება, რომ ტექნიკური კვლევის შედეგად გამოვლენილი მთავარი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები შემდეგი იქნება: (i) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროფესიული რისკები, რომლებიც უკავშირდება ვარდნილი 2, 3 და 4 სადგურების სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას. (ii) ვარდნილის სადგურების ოპერირების შეწყვეტის შემდგომ ჩამოყალიბებული ბიომრავალფეროვნების მახასიათებლებისა და სოციალური დამოკიდებულებების პოტენციალი (iii) კონტექსტუალური რისკები, რომლებიც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სამუშაოები უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს, და (iv) რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორების მართვა. ეს მიდგომა შეესაბამება პროექტის წინა ფაზებს, თუმცა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიზნით, რადგან ეს კომპონენტი საკმაოდ გამიჯნულია პროექტის წინა ფაზებისგან, ამ კომპონენტისთვის მომზადებული იქნება ახალი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც შეთანხმდება ენგურჰესთან. აღმოჩენილი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სწორად მართვის მიზნით, დოკუმენტის აღნიშნული სექცია განახლდება ტექნიკური კვლევის დასრულების შემდგომ.

## ტექნიკური თანამშრომლობა

წინასაინვესტიციო ტექნიკური კვლევა დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ეკონომიკური გარდაქმნის მწვანე მიდგომის პროექტების მომზადების და დანერგვის ჩარჩოს მიერ.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მალხაზ ცქვიტიშვილი

[malkhaz@engurhesi.ge](mailto:malkhaz@engurhesi.ge)

+995 322189669

[www.engurhesi.ge](http://www.engurhesi.ge)

პოლიტკოვსკაიას ქ. 8. 0186 თბილისი, საქართველო

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის, დაუკავშირდით EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს:

ტელ: +44 20 7338 6794;

ელ-ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ

უკავშირდება შესყიდვებს, დაუკავშირდით:  
ტელ: +44 20 7338 7168  
projectenquiries@ebrd.com

## ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

[ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

[პროექტის გასაჩივრების მექანიზმი](#) EBRD-ის ანგარიშების მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ზიანი.

საჩივრის შეტანის პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, ესტუმროთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის [ვებგვერდს](#). საჩივრის შეტანასთან, ისევე როგორც რეგისტრაციისა და დაშვებადობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ საჩივრების ოფიცერს ([pcm@ebrd.com](mailto:pcm@ebrd.com)), გასაჩივრების მექანიზმის პროცედურების წესების შესაბამისად.